სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 71

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2017 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიუროს (შემდგომში „შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილის გიორგი ბესტავაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: ი/მ „გიორგი კანდელაკი-ვესტა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), იურიდიული მისამართი: საქართველო, ძველი თბილისის რაიონი, აღმაშენებლის გამზირი, №55/1, საიდენტიფიკაციო კოდი: 01009005243, სს. „საქართველოს ბანკი", ბ/კ BAGAGE22, ა/ა GE75BG0000000888000801.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია CPV30100000 შავ-თეთრი და ფერადი ლაზერული კარტრიჯების სახელმწიფო სახსრებით შესყიდვა დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 945.00 (ცხრაას ორმოცდახუთი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზირი, №55/1 .

4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნისთანავე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი მიხეილ ბიწაძე, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ,,შემსყიდველთან"

შემსყიდველი სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო	მიმწოდებელი: ი/მ „გიორგი კანდელაკი-ვესტა"
დირექტორის მოადგილე გიორგი ბესტავაშვილი	ინდივიდუალური მეწარმე გიორგი კანდელაკი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № _

დანართი N1

ქ. თბილისი

22 დეკემბერი 2017 წელი

№	დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	კარტრიჯი HP LJ PRO MFP M225/125/127/201 283A	ცალი	15.00	17.000	255.000
2	კარტრიჯი HPLJP1536/1560/1606CE278/CanonMF4410/4570 CRG728/328	ცალი	25.00	17.000	425.000
3	კარტრიჯი HP LJ M1120MFP/M1522/1505/P1005/P1102/M1132/1212nf/LBP6000 CB435/CB436/CE285A/CRG725Universal	ცალი	10.00	17.000	170.000
4	კარტრიჯი CF383A ProM476dn წითელი	ცალი	1.00	32.000	32.000
5	კარტრიჯი CF382A ProM476dn ყვითელი	ცალი	1.00	31.500	31.500
6	კარტრიჯი CF381A ProM476dn ლურჯი	ცალი	1.00	31.500	31.500
		ჯამი (GEL):	**53.00**	**146.00**	**945.00**

შემსყიდველი:
სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორის მოადგილე
გიორგი ბესტავაშვილი

მიმწოდებელი:
ი/მ „გიორგი კანდელაკი-ვესტა“

ინდივიდუალური მეწარმე
გიორგი კანდელაკი

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

21 დეკემბერი 2017 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ 2017 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულება № 71 ფარგლებში, ჩვენი მონაწილეობა ი/მ „გიორგი კანდელაკი-ვესტა“-სთან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს:

დირექტორის მოადგილე — გიორგი ბესტავაშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი — ერეკლე შანშიაშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი — ნათია მელელაშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი — რევაზ ჩხარტიშვილი

ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების უფროსი სპეციალისტი — მიხეილ ბიწაძე

ადმინისტრაციული სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო განყოფილების შესყიდვების მენეჯერი — ნათია მუკბანიანი